

აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვის მშობლების შვილების
მდგომარეობასთან დაკავშირებული სტრესის დაძლევის სტრატეგიები

მარიამ წირღვავა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოტრავმატოლოგიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა - ფსიქიკური ჯანმრთელობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დარეჯან ჯავახიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ წირღვავა

22.06.2018

აბსტრაქტი

ბოლო წლების განმავლობაში აუტიზმის სპექტრის აშლილობის (ასა) დიაგნოზი საკმაოდ აქტუალურია ქართული რეალობისათვის, რადგან საგრძნობლად იმატა ამ დიაგნოზის დასმის შემთხვევათა რაოდენობამ.

მოცემული კვლევა ეხება აუტიზმის სპექტრის დიაგნოზის მქონე ბავშვებისა და მოზარდების მშობლებს. კვლევა მიზნად ისახავს ასა-ს მქონე ბავშვების მშობლებში ამ დიაგნოზთან დაკავშირებული სტრესორთა სისტემის, მათზე საპასუხო აღდგენისუნარიანობის (resilience) სტრატეგიებისა, ამ სტრატეგიების ხელშემწყობი ფაქტორებისა და დიაგნოზთან შეგუების შესაძლო ფაზების შესწავლას.

კვლევა აქტუალურია, რამდენადაც მისი შედეგების საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც შემდგომში დაეხმარება მშობლებს მდგომარეობასთან დაკავშირებულ სტრესთან გამკლავებაში და შესაბამისად, შვილებისა და მთლიანად ოჯახის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში.

კვლევის რესპოდენტებად შეირჩნენ არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ბავშვები“-ს აუტიზმის კლინიკაში მერიის აუტიზმის პროგრამით მოსარგებლე ასა-ს მქონე ბავშვების მშობლები და ამავე სერვისში მომუშავე სპეციალისტები. მშობლების მონაწილეობისთვის აუცილებელ კრიტერიუმს შეადგენდა მათი თანხმობა და ასევე ბავშვის დიაგნოზი: განვითარების ზოგადი აშლილობა, დაუზუსტებელი (F84.9) და ბავშვთა აუტიზმი (F84.0), ხოლო სპეციალისტებისათვის მონაწილეობის მთავარი კრიტერიუმი იყო მათი თანხმობა და ასა-ს მქონე ბავშვებთან მუშაობის მინიმუმ ერთ წლიანი გამოცდილება. კვლევაში მონაწილეობა მიიღო მდედრობითი სქესის 12-მა და მამრობითი სქესის 5-მა მშობელმა და 5-მა სპეციალისტმა.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ განსხვავებული სქესის მშობლებზე მოქმედებს სტრესორთა განსხვავებული სისტემა, სხვადასხვა სქესის მშობლები იყენებენ აღდგენისუნარიანობის სხვადასხვა სტრატეგიებს. მაგალითად დედების შემთხვევაში აღდგენისუნარიანობის სტრატეგიად გამოვლინდა მსგავსი დიაგნოზის მქონე ბავშვების მშობლებთან კომუნიკაცია და გამოცდილების გაზიარება, თერაპიის პროცესში ჩართვა, ბავშვზე ყურადღების გადატანა, დიაგნოზზე ფიქრისთვის თავისუფალი დროის

შემცირების მიზნით, ხოლო მამების შემთხვევაში თერაპიული პროცესისაგან თავის არიდება, თავისუფალი დროის შემცირება სამუშაოს გაძლიერების გზით, დიაგნოზისგან ყურადღების გადატანის მიზნით, სოციალური ურთიერთობები, იმპულსურობის შემცირება და ემოციების კონტროლი.

ორივე სქესის მშობლები გადიან გარკვეულ ფაზებს დიაგნოზთან შეგუების პროცესში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: აუტიზმი, სტრესი, რეზილიენსი, სტიგმა, გამკლავება, მშობელი, ოჯახი, აღდგენისუნარიანობა.

Abstract

The diagnosis of autism spectrum disorder in recent years is quite relevant for Georgian reality, as the number of cases of diagnosis has increased significantly.

This study refers to the parents of children and adolescents who have diagnosed the autism spectrum. The aim of the study is to study ASD diagnose related stress symptoms, the resilience strategies as an answer to this stress, the supporting factors for the resilience strategy and the possible phases in getting use to diagnose.

The research is relevant, because Based on the results have been developed some recommendations wich will help parents to cope with the stress associated with the situation and improve their and their childrens quality of life and family.

As the respondents of the survey were selected parents of children with ASD in the Autism Clinic of the NGO "Children of Georgia", and specialists working in the same service at City Hall Autism Program.

The basic criterion for the participation of parents was their consent and the diagnosis of the child such as: General development disorder, unspecified (F84.9) and autism spectrum disorder (F84.0) . The main criterion for specialists was their consent and at least one year of experience working with children with ASD. 12 female and 5 male parent and 5 female specialists were involved in the study.

The study revealed that parents of different sexes have different system of stress, and different sex parents use different resilience abilities. For instance, in the case of mothers, the ability to communicate and share experiences with parents of children with similar diagnoses, involvement into the therapy process, focusing on the child, reduction of free time, reveald as a resilience strategy. In the case of father the resilience strategy were avoiding the therapy, decreasing their free time and pay attention diagnose to their work; social communication; Reduce impulse and control of emotions; Parents of both sexes undergo certain phases in the process of adaptation to diagnosis.

Key words: Autism, Stress, Resilience, Stigma, Coping, Parenting, Family

მადლობა

დიდ მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს ქალბატონ დარეჯან ჯავახიშვილს, მხარდაჭერისთვის, დროული უკუკავშირისა და გაწეული დახმარებისათვის.

ასევე მინდა მადლობა გადავუხადო არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ბავშვები“-ს აუტიზმის კლინიკაში მომუშავე სპეციალისტებს და ამავე კლინიკის სერვისით მოსარგებლე ბავშვების მშობლებს, სწორედ მათი ჩართულობა გახდა კვლევის წარმატებით ჩატარების წინაპირობა. დიდი მადლობა ჩემს მეგობარს, რუსო აბულაძეს გაწეული დახმარებისათვის.